ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3647040

ნომერი: AR1546001

თარიღი : 02.10.2017

გაცემის თარიღი : 30.10.2017

გაცნობის თარიღი : 30.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კაიროს ქუჩის დასაწყისი , (ნაკვეთი N 002/070) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ბეგიაშვილი პ/ნ 01012019532
- ვაზისუბნის დასახლებაკორ26 ბინ19

ორგანიზაცია:

- ხიმინჯი2012 კოდი: 406082260

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 13 ივლისის №697 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 2 ოქტომბრის #AR1546001 განცხადებით მომართა მოქალაქე ამირან ბეგიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2009 წლის 13 ივლისის №697 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო ობიექტის ფუნქციისა და საკადასტრო მონაცემების ცვლილების კუთხით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ #01.19.34.002.070 (ფართობი:

521 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე, ცალკე მდგომი სავაჭრო პავილიონისა და არსებული შენობის რეკონსტრუქციის (მიშენების გათვალისწინებით) მიზნით დამტკიცდა №697 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
სამსახურის 2010 წლის 22 მარტის № 947 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, კერძოდ საპროექტო ობიექტს დაემატა მრავალფუნქციური შენობები- ორი მსუბუქი ტიპის საბანკეტო სათავსი.
დღევანდელი მდგომარეობით შეცვლილია საკადასტრო მონაცემები, შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ცვლილების ასახვას 2009 წლის 13 ივლისის №697 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის ფუნქციას დაემატოს კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 13 ივლისის №697 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის ფუნქციას დაემატოს: კომერციული, საოფისე, საცხოვრებელი;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 13 ივლისის №697 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.19.34.002.138; ფართობი 3312 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N882015215539; რეგისტრაციის თარიღი : 22.04.15 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 13 ივლისის №697 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.